ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 81

"7" მარტი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ ქალაქ თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ც. დადიანის ქ. №7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი კომპლექსის დასაპროექტებლად 2007 წლის 26 ნოემბერს გაცემული №12105 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლის, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2016 წლის 29 დეკემბრის №62 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 7 თებერვლის №04/1718 წერილის (AR1466364) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილი იქნას ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ ქალაქ თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ც. დადიანის ქ. №7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი კომპლექსის დასაპროექტებლად 2007 წლის 26 ნოემბერს გაცემული №12105 ქალაქთმშენებლობით პირობებში და საპროექტო არეალში დაფიქსირდეს შემდეგი საკადასტრო ერთეულები: №01.16.02.038.064; №01.16.02.038.077; №01.16.02.038.042; №01.16.02.038.041 .

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი